

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები

სამაგისტრო პროგრამა

თბილისი
2016

პროგრამის დასახელება

ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები

პროგრამის შემუშავების თარიღი

23/08/2016

პროგრამის განახლების თარიღი

6/12/2016

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია (ინგლისურად)

Master of Business Administration in Management

პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი

მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS

სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები“ დაიშვებიან აპლიკანტები ბაკალავრის აკადემიური ხარისხით, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო ეროვნული სამაგისტრო გამოცდა, გაიარეს ინგლისური ენის B1.2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა ან წარმოადგინეს ინგლისური ენის B1.2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატი (TOEFL (Paper) – 477-510; TOEFL (CBT)- 153-180; TOEFL (IBT)-53-64; IELTS-4.5-5.0; Cambridge Exam- PET (IELTS 4.5); CEFR- (IELTS 4.5); VEC Online Score-58-65). და წარმატებით გაიარეს შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება მისალეპ კომისიასთან.

პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირებაში სიღრმისეული ცოდნის მქონე პროფესიონალი, რათა მან, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლოს ბიზნესის ეფექტურად და ეფექტიანად მართვა. ასევე, მაღალტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით, კურსდამთავრებულმა შეძლოს ინოვაციური ბიზნეს პროექტების ინიცირება და მართვა, საწარმოო პროცესების დაგეგმვა, შეფასება და კონტროლი.

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები

სამაგისტრო პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

- კერძო სექტორში - კომპანიის საშუალო და ზედა რგოლის მენეჯმენტში, გადაწყვეტილების მიმღები მენეჯერის პოზიციაზე;
- საკუთარ საწარმოში - წამოიწყოს ინოვაციური ბიზნესი/პროექტი, ეფექტურად და ეფექტიანად მართოს კომპანია;
- სახელმწიფო სექტორში - მმართველ მენეჯერად, დეპარტამენტის ან სამსახურის უფროსად;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში - მმართველ მენეჯერად, პროექტის მენეჯერად.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები“ კურსდამთავრებულს უვითარებს იმ უნარებს, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის ადმინისტრირებისთვის საჭირო ფუნქციონალური საკითხების: ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ოპერაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების სისტემური და სიღრმისეული ცოდნა. იცის სამეწარმეო პროცესების მართვა და მათი მდგრადი განვითარებისთვის ეფექტიანობის გაზომვის მეთოდები. ასევე, სიღრმისეულად იცის მართვის პროცესის სტრატეგიის შემუშავებისთვის საჭირო კვლევის მეთოდები, სტატისტიკური მეთოდები, სტრატეგიული დაგეგმვა, ფინანსური დოკუმენტაციის მახასიათებლები და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - კურსდამთავრებული წარმატებით იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში. შეუძლია ბიზნესსიტუაციის ანალიზი, სტრატეგიული და მარკეტინგული დაგეგმვა, ფინანსური ანგარიშგების მომზადება, საწარმოო პროცესების ოპერაციული დაგეგმვა და მართვა. სტატისტიკური მეთოდებზე დაყრდნობით, შეუძლია ორგანიზაციის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ მონაცემთა შეგროვება, ანალიზი. შეუძლია ინოვაციური ბიზნესპროექტების ინიცირება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მართვა.

დასკვნის უნარი - მიღებული სისტემური ცოდნის საფუძველზე, კურსდამთავრებულს შეუძლია ორგანიზაციის წინაშე არსებული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი და რელევანტური დასკვნების გაკეთება. არასრული ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლია კრიტიკული ანალიზი და ეფექტიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია მისი მოსაზრებებისა და დასკვნების ფართო ან/და ვიწრო აუდიტორიის წინაშე წარდგენა, პრეზენტაციის ჩატარება, დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, დებატი, კვლევითი ანგარიშის მომზადება და წარდგენა, დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაცია. კურსდამთავრებულს შეუძლია ჯგუფში მუშაობა, ჯგუფის ლიდერობა. სრულყოფილად ფლობს საერთაშორისო ბიზნეს ტერმინოლოგიას და კოლეგებთან ერთად ურთიერთობს საერთაშორისო პარტნიორებთან.

სწავლის უნარი - კურსდამთავრებული აცნობიერებს ცოდნის მიღებისა და განახლების მნიშვნელობასა და საჭიროებას თანამედროვე, წარმატებული ბიზნეს ლიდერისა და მენეჯერისათვის.

მას აქვს უნარი, მოიძიოს, გააანალიზოს და გამოიყენოს ბიზნესის ფუნქციონალური საკითხების გარშემო არსებული ცოდნა. მოიძიოს ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული უახლესი მიღწევების შესახებ. შეუძლია მიღებული განათლების შეფასება და საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის შემდგომი ფორმალური და არაფორმალური სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

ღირებულებები - კურსდამთავრებული იცნობს ბიზნესისა და კვლევის ეთიკის ნორმებს, აცნობიერებს მათი დაცვის აუცილებლობას ბიზნესში, სამეწარმეო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას. პატივს სცემს განსხვავებული კულტურისა და ღირებულებების მქონე ადამიანს.

სწავლის მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება სწავლების ინტერაქტიური მეთოდები: ლექცია, სემინარი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, დისკუსია/დებატები, სიმულაციური მოდელირება, პრაქტიკული მეცადინეობები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, გონებრივი იერიში, ვიდეოლექცია, კვლევა, წერიტი მეთოდი, ინტერაქცია.

სწავლის შედეგები შეფასდება ტესტირების, რეფერატის, პრეზენტაციის, ანგარიშების, დისკუსიის, ესსეების სახით;

სტუდენტის ცოდნის შეფასება

1. სტუდენტის შეფასება და შეფასების კრიტერიუმების გაწერა ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ;
2. სტუდენტის მიერ კრედიტის მოპოვება კონკრეტულ საგანში ხდება სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ;
3. სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს
 - ა) შუალედურ შეფასებებს
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას
 შეფასების კრიტერიუმებით დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში;

4. სტუდენტის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია
91%-ზე მეტი	A - ფრიადი	დადებითი
81-90%	B - ძალიან კარგი	დადებითი
71-80%	C - კარგი	დადებითი
61-70%	D - დამაკმაყოფილებელი	დადებითი
51-60%	E - საკმარისი	დადებითი
41-50%	FX- ვერ ჩააბარა- სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	უარყოფითი
0-40%	(F) - ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს	უარყოფითი

	კურსი	
--	-------	--

5. სტუდენტი დაიშვება დასკვნით გამოცდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ გამოცდაზე მის მიერ მოპოვებული უმაღლესი შეფასების გათვალისწინებით მას უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა;
6. გამოცდების აღდგენა ხდება მხოლოდ საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და დეკანის სახელზე დაწერილი განცხადების სასწავლო დეპარტამენტში წარდგენის საფუძველზე;
7. საპატიო გაცდენის მიზეზი შესაძლებელია იყოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სამსახურებრივი მივლინება, სტიქიური უბედურება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა დოკუმენტაცია რომელიც ადასტუდებს სტუდენტის მიერ გამოცდაზე დასწრების შესაძლებლობის არქონას, გამოცდის მსვლელობის დროს;
8. გადაწყვეტილებას გაცდენილი გამოცდის აღდგენის შესახებ იღებს დეკანი;
9. სტუდენტი დაიშვება განმეორებით გამოცდაზე, თუ მან საბოლოო გამოცდის შეფასების ჩათვლით სემესტრულად დააგროვა 41-50 ქულა;
10. გაცდენილი გამოცდები აღდება გამოცდის ჩატარებიდან 2 კვირის განმავლობაში;
11. გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა;
12. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით და აღნიშნული ქულების ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA)

13. სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით:

$$GPA = (X-50) \times 0,06 + 1$$

სადაც X არის სასწავლო კურსში მიღებული ქულა.

GPA-ს გამოთვლის წესი:

რიცხვითი ექვივალენტი	ქულა %
100	4
99	3,94
98	3,88
97	3.82
X	$(X-50) \times 0,06 + 1$
51	1,06
1-50	0

14. GPA გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, სადაც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება;
15. სარეიტინგო მონაცემების მისაღებად გამოითვლება სტუდენტთა სემესტრული GPA, როდესაც დაჯამდება უარყოფითი შეფასებაც;
16. სასწავლო პროცესის ნებისმიერ ინტერვალში სტუდენტების შემაჯამებელი საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით:

$$GPA \text{ (შემაჯამებელი)} = (\sum \text{ თითოეული სასწავლო კურსის GPA} \times \text{ შესაბამის კრედიტზე}) / \text{ ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე};$$
17. GPA-ზე დაყრდნობით, სარეიტინგო მონაცემებს ამუშავებს სასწავლო საქმეთა დეპარტამენტი.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან, რომელსაც კურსდამთავრებული აგროვეს სავალდებულო კურსებით, არჩევითი კურსებით და სამაგისტრო ნაშრომით. სავალდებულო კურსები უზრუნველყოფს რომ კურსდამთავრებულმა შეიძინოს მენეჯერის უნარები ბიზნესის ადმინისტრირებაში, სამეწარმეო საქმიანობისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ხოლო არჩევითი საგნები მას საშუალებას აძლევს გაიღრმავოს ცოდნა და შეიძინოს უნარ-ჩვევები მისთვის საინტერესო მიმართულებით.

პროგრამა შედგება 12 სავალდებულო საგნისგან (70 კრედიტი) და 8 არჩევითი საგნისგან (32 კრედიტი) რომელთაგან სტუდენტი ირჩევს 20 კრედიტის მოცულობას. სწავლის ბოლო სემესტრი სრულად ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც სავალდებულოა და მოიცავს 30 კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომი პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რომელშიც სტუდენტი გამოავლენს ბიზნესის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების, საკითხის სიღრმისეული ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარებს. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულის კვლევითი უნარი ვითარდება თანმიმდევრულად, ბიზნეს სტატისტიკის და კვლევის მეთოდების შესწავლის შედეგად.

ნაშრომში სტუდენტი წარმოაჩენს პრობლემის აქტუალობას; აყალიბებს საკვლევ თემატიკას, კვლევის მიზნებს, ამოცანებს და მოსალოდნელ შედეგებს; სწავლობს საკითხის მეცნიერულ საფუძვლებს; ახდენს ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლას და შეფასებას საკვლევ თემასთან მიმართებაში; არგუმენტირებულად მსჯელობს და ლოგიკურ დასკვნებს აკეთებს საკვლევ თემის მიზნებთან და შედეგებთან მიმართებაში.

პრაქტიკა - უნივერსიტეტის სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლის ზრდის მიზნით, BTU Classroom-ის პროგრამაში ჩაშენებულია ფუნქცია „სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო“. აღნიშნული გულისხმობს, რომ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ასახოს მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მათ შორის კურიკულუმის გარე) ელექტრონულად და გაუზიაროს წვდომა პოტენციურ დამსაქმებელს. ეს კომპონენტი ნებაყოფლობითია და არ ფასდება, რადგან წარმოადგენს პრაქტიკული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას მათთვის ვისაც გამოცდილება არ აქვს, ან აქვს ბიზნესის ადმინისტრირებისგან განსხვავებულ სფეროში. აგრეთვე, კომპონენტს არ ენიჭება კრედიტი რადგან ცალკეულ საგნებში, რომელიც ისწავლება პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა იმუშაონ საქართველოში არსებული უმსხვილესი კომპანიების ახალ ბიზნეს ქეისებზე, მოახდინონ კომპლექსური სტრატეგიული დაგეგმვა და ა.შ. ყოველივე კი შესაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტს, შესძინოს სტუდენტს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარები. სტუდენტები, რომელთაც სურთ პრაქტიკული გამოცდილების შეძენა და თეორიული ცოდნის მეტად განმტკიცება, უნივერსიტეტი შესაძლებლობას აძლევს ითანამშრომლონ ორგანიზაციებთან, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, განახორციელონ ვიზიტები და მის ჩაერთონ ორგანიზაციის სამუშაო პროცესში. ვიზიტის ხანგრძლივობა იქნება 1 თვემდე. ამ პერიოდის განმავლობაში, სტუდენტს ექნება წვდომა ორგანიზაციის ხელთ არსებულ საჯარო ინფორმაციაზე. სტუდენტს ეყოლება პრაქტიკის ხელმძღვანელი/მენტორი, რომელიც გააცნობს მას ბიზნეს მენეჯერის წინაშე არსებული ტიპურ სამუშაო პროცესს. ამის შემდგომ, სტუდენტს რომელიც გამოთქვავს სურვილს პრაქტიკის კომპონენტში მონაწილეობის, ევალება 3-დან 5 გვერდამდე რეფლექციის დაწერა, რომელიც შემდგომ აისახება მის ელექტრონულ პორტფოლიოში. ელექტრონული

პორტფოლიო იმართება უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრის მიერ და შესაძლებლობას აძლევს დამსაქმებელს ნათლად დაინახოს კანდიდატის პოტენციალი, ცოდნა და უნარჩვევები.

სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე რესურსი

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ინოვაციებისა და კვლევების სამსახური, კომპიუტერების რესურს ცენტრი, ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა.

პროგრამის ხელმძღვანელი

ნინო ენუქიძე

ასცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ელ.ფოსტა: nino.enukidze@btu.edu.ge

პროგრამის სტრუქტურა - იხ. დანართი #1

პროგრამის კომპეტენციათა რუკა						
კომპეტენციების ჩამონათვალი						
ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები	ცოდნა და გაგნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სასწავლო კურსები	X	X	X	X	X	X
ფინანსური აღრიცხვა	X	X	X	X	X	--
მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
ვებ დეველოპმენტი ბიზნესისათვის	X	X	--	--	--	X
მარკეტინგი	X	X	X	X	X	X
კორპორაციული მართვა	X	X	X	X	--	X
წარმოება და ოპერაციების მენეჯმენტი	X	X	X	X	--	--
სტატისტიკა ბიზნესისათვის	X	X	X	X	X	X
კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
მენეჯერული აღრიცხვა	X	X	X	X	X	X
სტრატეგიული მენეჯმენტი	X	X	X	X	--	X
საწარმოს რესურსების დაგეგმარების ERP სისტემები	X	X	X	X	X	--
სტრატეგიული მეწარმეობა	X	X	X	X	X	--

სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X
ლიდერობა და გუნდის მართვა	X	X	X	X	X	X
ბიზნეს კომუნიკაციები	X	X	X	X	--	X
ინტელექტუალური საკუთრება	X	--	X	X	X	X
მენეჯერული ეკონომიკა	X	X	X	--	X	--
ბიზნეს სამართალი	X	X	X	X	X	--
ინოვაციების მენეჯმენტი და ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
ელექტრონული ვაჭრობა	X	X	X	--	X	--
ბიზნესის მოდელირება და გადაწყვეტილების მიღება	X	X	X	X	X	--